



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №10  
2016 წლის 26 თებერვალი  
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტული ცენტრი“-სათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ტ“ პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტული ცენტრი“-სათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესი“ დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გიორგი ხელაძე

ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტული ცენტრი“-სათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესი

#### მუხლი 1.

ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი არეგულირებს ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტული ცენტრი“-სათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელებისა და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესი.

#### მუხლი 2.

1. ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტული ცენტრი“-ს სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხა, დაფინანსდეს ლანჩბუთის მუნიციპლიტეტის ბიუჯეტიდან ცენტრისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. დაფინანსება განხორციელდეს ღონისძიებათა გეგმით, რომელიც შედგენილია შესაბამისი ფედერაციების კალენდრის მიხედვით, აგრეთვე სხვადასხვა ტურნირებისა და შეჯიბრებების დებულებებით.

#### მუხლი 3.

ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტული ცენტრი“-ს სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელების და წარმომადგენლების კვებითისათვის საჭირო თანხა ანაზღაურდება ლანჩბუთის მუნიციპალიტეტს გარეთ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

#### მუხლი 4.

რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სასპორტო ღონისძიებებში მონაწილეთა (სპორტსმენების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელების და წარმომადგენლების) კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო დღიური თანხის ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) ლარს.

#### მუხლი 5.

ღონისძიებისათვის გამოყოფილი თანხის ანგარიშების მიზნით პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მივლინების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „სპორტული ცენტრს“ წარუდგინოს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

#### მუხლი 6.

ლანჩბუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ა(ა)იპ „სპორტული ცენტრისათვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა კვების თანხის მიზნობრივ განკარგვაზე მონიტორინგს ახორციელებს გამგებელი უშუალოდ და მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით.